გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მარლენ ნადირაძის

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 152 საკითხის განხილვაში.

ამავე პერიოდში დავესწარი საკრებულოს ბიუროს 28 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 311 საკითხის განხილვაში.

ვარ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ წევრი. დავესწარი აღნიშნული ფრაქციის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 85 საკითხის განხილვაში.

ამავდროულად ვარ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი. დავესწარი აღნიშნული კომისიის 11 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 30 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის წევრი. დავესწარი კომისიის 3 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 24 საკითხის განხილვაში.

როგორც საკრებულოს წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოვადგენ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობის და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირს და, ამავე დროს, ვარ აღნიშნულ საკითხზე გორის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი და აქტიურად ვმონაწილეობ აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მუშაობაში.

ამასთანავე, ვარ გორის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით შექმნილი სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შემადგენლობაში და გორის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების სამუშაო ჯგუფში.

საანგარიშო პერიოდში სისტემატიურად მიწევდა და მიწევს სამუშაო რეჟიმში მუნიციპალიტეტის საკრებულოში ვიზიტად მოსულ მოქალაქეებთან შეხვედრა, ასევე მოსახლეობას სისტემატურად ვხვდები გასვლით შეხვედრებზეც, როგორც საზოგადოებრივ, ასევე ინდივიდუალურ საკითხებზე.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ვარ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს წევრი და აქტიურად ვიღებ მონაწილეობას აღნიშნული საბჭოს მუშაობაში.

ასევე აქტიურად ვიყავი ჩართული გორის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში. კერძოდ:

ბიუჯეტის განხილვისას ჩემს მიერ ოფიციალურად გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, საანგარიშო წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის რამოდენიმე მუხლში გათვალისწინებული თანხები გაიზარდა გარკვეული რაოდენობით, კერძოდ:

- ბიუჯეტის პროექტით, „გზების მშენებლობა - რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამით (კოდი : 02.01.02) საკუთარი შემოსავლებით გათვალისწინებული იყო 3 936 500 ლარი, რაც შემდგომში გაიზარდა 4 566 288 ლარამდე.
- ბიუჯეტის პროექტით, პროგრამაში „კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი“ (კოდი: 05.00) გათვალისწინებული იყო 9 405 900 ლარი, რას შემდგომში გაიზარდა 9 990 800 ლარამდე.
- ბიუჯეტის პროექტით, „ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება“ ქვეპროგრამით (კოდი : 06.02.19) გათვალისწინებული იყო 120 000 ლარი, რაც შემდგომში გაიზარდა 187 000 ლარამდე.

ასევე, ჩემი წინადადებების შედეგად, აღნიშნულ საანგარიშო წელში, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტი. კერძოდ:

- ქ. გორში, წმინდაწყლის დასახლებაში, გვერდწითელის ქუჩის 580 მეტრიან მონაკვეთზე ასფალტზე საფარის მოწყობის სამუშაოები - პროექტის ღირებულება : 867 900 ლ.
- ქ. გორში, წმინდაწყლის დასახლებაში, ს. ჯორბენაძის ქუჩაზე ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები - პროექტის ღირებულება : 755 000 ლ.
- ქ. გორში, წმინდაწყლის დასახლებაში, ელიოზიშვილის ქუჩის #15, #17, #19 და #21 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოს საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის და 1070 კვადრატულ მეტრზე ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები - პროექტის ღირებულებაა : 86 000 ლარი.
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში 900 მეტრი სიგრძის შიდა საუბნო გზაზე ასფალტის საფარის სამუშაოები - პროექტის ღირებულება: 240 000 ლ.
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდის 1500 მეტრი სიგრძის შიდა საუბნო გზაზე ასფალტის საფარის მოწყობის პროექტის შეძენა, რომლის ღირებულება შეადგენს: 941 000 ლარს.
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა - პროექტის ღირებულება: 40 364 ლ.
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში და ბეთლებში არსებული სკვერების რეაბილიტაცია - პროექტის ღირებულება: 19 000 ლ.
- გორის მუნიციპალიტეის სოფელ ტინისხიდში შესასვლელი საავტომობილო გზის სარკინიგზო ხიდის ქვეშ არსებული სანიაღვრე წყლის საქაჩი სადგურის ტუმბოს შეძენა - პროექტის ღირებულება : 8300 ლ.
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთარშენში სასმელი წყლის საქაჩი სადგურის ტუმბოს შეძენა და მონტაჟი. პროექტის ღირებულება : 11 400 ლ.
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თედოწმინდაში, მდ. ლიახვზე არსებული, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებთან დაკავშირებული საცალფეხო ე.წ. „საქანელა“ ხიდის რეაბილიტაციის პროექტის შეძენა, რომლის ღირებულება შეადგენს 48 000 ლარს.

და ბოლოს, მიმდინარე ეტაპზე გორის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები მუშაოებენ ჩემი წინადადებით დაყენებული რამოდენიმე ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო პროექტების მომზადებაზე. აღნიშნული პროექტების განხორციელება მოხდება 2025 წლის საანგარიშო პერიოდში.

31.11.2024

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მარლენ ნადირაძის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ. გორი 2024 წლის 20 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: მარლენ ნადირაძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ტინისხიდის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი მანანა მაისურაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ბექა ლობჟანიძე

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მარლენ ნადირაძის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მარლენ ნადირაძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მარლენ ნადირაძეს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის

1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მარლენ ნადირაძემ აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ალექსი ხაზარაშვილმა და ელისო შავლოხაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: ბექა ლობჟანიძე;

საკრებულოს წევრი : მარლენ ნადირაძე;